



478/3-87/22 2 20012022

478/3-87/22

20-01-2022

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს

ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი, გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის

საფუძველზე მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- ჩემთვის ცნობილია, რომ ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის მშენებლობის პირველი მონაკვეთის - (ძირულა-ხარაგაული-მოლითი) ძირითადი ნაწილი დასრულებულია.
- გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია რატომ გაჭიანურდა აღნიშნული პროექტის დასრულება და როდის სრულდება საბოლოოდ?
- ხოლო, მეორე ნაწილი მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის მონაკვეთზე სამუშაოები სრულად შეწყვეტილია, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია რა ეტაპზეა პროცესი და რა გახდა სამუშაოების შეწყვეტის მიზეზი?

ბატონო ირაკლი, გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია

მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით

გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხათუნა სამნიძე



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA

462-01-2-202202151738



N 01/462

15/02/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ ხათუნა სამნიძეს

ქალბატონო ხათუნა,

თქვენი 2022 წლის 20 იანვრის №478/3-87/22 განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის №305/01; 20.01.2022) პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის (50კმ) საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის პირველი მონაკვეთის, ძირულა-მოლითის მონაკვეთის კმ0+000-კმ24+620 (ლოტი I) სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ამჟამად დასრულებულია წყალგამტარი ნაგებობების, სანიაღვრე არხების და საყრდენი კედლების ძირითადი სამუშაოები და საავტომობილო გზის ძირითად მონაკვეთებზე მოწყობილია ასფალტ-ბეტონის საფარი (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაკვეთის გარდა).

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ხორციელდება წყლის მილსადენისა და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები, რომელთა დასრულების შემდეგ განხორციელდება საგზაო სამუშაოები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის დასრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი.

პროექტის მეორე მონაკვეთთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ კონტრაქტორის მიერ ვალდებულების მუდმივი დარღვევის გამო, დეპარტამენტმა 2021 წლის ნოემბერში Akkord Industry Construction Investment Corporation OJSC-ს (შემდგომში - Akkord) შეწყვიტა ხელშეკრულება.

რაც შეეხება პროექტის დარჩენილ სამუშაოებს (ლოტი II), გაცნობებთ, რომ მოლითი-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის დარჩენილ სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადების მიზნით ამჟამად მიმდინარეობს სატენდერო დოკუმენტაციის შეთანხმების პროცედურები დონორ ორგანიზაციასთან (აზიის განვითარების ბანკთან), რომლის თანხმობის მიღების შემდგომ, დაიწყება სატენდერო პროცედურები სამუშაოების შესყიდვის მიზნით.

პატივისცემით,

კობა გაბუნია

მინისტრის მოადგილე

